ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „მოქალაქეები საქართველოსთვის“

სხდომის ოქმი N 3

2024 წლის 22 ნოემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „მოქალაქეები საქართველოსთვის“ სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის თავმჯდომარე ნინო ბენდელიანი, წევრები ირინე ლიპარტელიანი და გიორგი შავრეშიანი. სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

ფრაქციამ განიხილა ბიუჯეტის პროექტი. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ირინე ლიპარტელიანმა გამოთქვა აზრი შენიშვნასთან დაკავშირებით, როგორც ყველასთვის ცნობილია ჩვენს რაიონში მწვავედ დგას მაწანწალა ძაღლების პრობლემა და

რამდენჯერაც დავაყენეთ ეს საკითხი, გვითხრეს რომ ბიუჯეტში თანხა არ არის. თუ შესაძლებელია, მომავალი წლის ბიუჯეტში მაინც მოხდეს აღნიშნული საკითხის გათვალისწინება.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, რომ 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას თანხა მაწანწალა ძაღლების პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებისთვის.

ფრაქციის თავმჯდომარე: /ნ.ბენდელიანი/

წევრები: /ი. ლიპარტელიანი/

წევრები: /გ.შავრეშიანი/